საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 601 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში:

ა) მინისტრის აპარატის ხელმძღვანელი;

ბ) ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) პოპულარიზაციის, რეგიონალური პროგრამებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ე) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ზ) შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი,მისი მოადგილე;

ი) ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

კ) სამინისტროს შიდა სტრუქტურული ერთეულის – სამმართველოს ხელმძღვანელი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**